

თამარ ნამგლაძე
(საქართველო)

საბჭოთა იდენტობის პოლიტიკა და საბავშვო მხატვრული
ლიტერატურა
(ლ. ლაგინის „მოხუცი ხოტაბიჩის“ მაგალითზე)

შესავალი

საბჭოთა კავშირის იდენტობის პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საზრუნავი თვისობრივად ახალი ადამიანის – ჰომოსოვიეტიკუსის ჩამოყალიბება იყო. ამ კუთხით ზემოქმედებისთვის განსაკუთრებულ სამიზნე ჯგუფს ბავშვები წარმოადგენენ. შესაბამისად, შემუშავებული უნდა ყოფილიყო ამ კონკრეტულ ჯგუფზე ზეგავლენისა და იდენტობის ფორმირების ეფექტური მეთოდები.

საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე ჩამოყალიბდა საბჭოთა საბავშვო მხატვრული ლიტერატურა, როგორც გარკვეული სახის ტექსტების კორპუსი. ამ ლიტერატურას გარდა თავისი მხატვრული „დანიშნულებისა“, გააჩნდა სხვა მიზანიც – ნამდვილი საბჭოთა ადამიანის, ჰომოსოვიეტიკუსის, როგორც იდენტობის ფორმირება. ის თუ რა ხარისხით იქნებოდა საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებში გადმოცემული საბჭოთა ცხოვრება, საბჭოთა მოქალაქეები და მათი ღირებულებები დამოკიდებული იყო ნაწარმოების შინაარსსა და ავტორის მწერლურ უნარებზე. გარდა იმისა, რომ ნაწარმოებები თავიდანვე მოიაზრებდა და გადმოსცემდა იდეოლოგიურ სპეციფიკას, არცთუ იშვიათად ის რედაქტირებას ემორჩილებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო და მრავლისმთქმელია ნაწარმოების ორიგინალისა და მისი რედაქტირებული ტექსტების შედარება. მოცემულ ნაშრომში სწორედ ამ კუთხით ვიკვლევთ ლ. ლაგინის „მოხუცი ხოტაბიჩს“. კვლევის ფარგლებში შედარებულია ამ ნაწარმოების ორი გამოცემა: პირველი – ორიგინალი და მეორე – ვრცელი, რედაქტირებული ვარიანტი.

ამ სახის კვლევა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მომავალი თაობის იდენტობის ჩამოყალიბება და მისთვის კონკრეტული ღირებულებების მიწოდება/ ჩანერგვა ყოველი საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს საზრუნავია, ამიტომ საინტერესოა ამ მიზნით უკვე შექმნილი და გამოყენებული ტექსტების გადააზრება (დანიშნულება შეიძლება იყოს როგორც თავიდან არიდება, ისე კვლავ გამოყენება). სტატიის მიზანია

გამოკვეთოს: საკითხები, რომლებზეც ხდება ზემოქმედება; განსხვავებები ორიგინალ და რედაქტირებულ ტექსტებს შორის საკითხებისა და მეთოდების კუთხით. ამ მიზნების მისაღწევად კვლევისას გამოყენებულია ნარატივის ანალიზის მეთოდი. სტრუქტურალიზმი, როგორც თეორიული ჩარჩო.

„მოხუცი ხოტაბიჩი“ – ზემოქმედების მეთოდი

ნაწარმოები „მოხუცი ხოტაბიჩი“ მოგვითხრობს ბიჭისა და ჯინის თავგადასავალს. პიონერი ვოლკა კოსტილკოვი მდინარეში იპოვის ძველებურ ჭურჭელს, რომელშიც მოხუცი ჯინი – ხოტაბიჩია ჩამწყვდეული. ნაწარმოების სამი რედაქცია არსებობს: პირველი, 1938 წლის ორიგინალი (ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1940 წელს), 1953 (პირველი რედაქცია) და 1955 (რედაქტირებული და გავრცობილი ვერსია). ის თუ კონკრეტულად ვის მიერაა რედაქტირებული და გავრცობილი ნაწარმოები, საკამათოა. მოცემული სტატიის ფარგლებში შესწავლილი და შედარებულია ნაწარმოების ორიგინალი (1938) და ვრცელი (1955 წლის) რედაქცია.

1938 წლის თავდაპირველი ტექსტთან შედარებით 1955 წლის რედაქციაში საგრძნობი ცვლილებებია – ორიგინალშია 56 თავი ეპილოგით, ხოლო 1955 წ. – 63 თავი ეპილოგით. განსხვავდება სათაურები და გადანაცვლებულია ტექსტი – ზოგიერთი აბზაცი ერთი თავიდან მეორე თავშია გადატანილი, რის შედეგადაც შეიცვალა სიუჟეტური ხაზიც. განსხვავებით თავდაპირველი ტექსტისგან, 1955 წლის რედაქციას წინ უძღვის შესავალი, რომელიც მთლიანად საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების ღირებულებების შედარებას ეძღვნება. დამატებული ტექსტები შეეხება: საბჭოთა ცხოვრების აღწერას, ღირებულებების ხაზგასმას, რევოლუციამდელ პერიოდსა და საერთაშორისო ურთიერთობებს (ინდოეთი, პაკისტანი, ინგლისი, ამერიკა, იტალია). მთლიანად არის ამოღებული სამი თავი („საპარიკმახეროში“, „ცხრამეტი ცხვარი“ და „ორნი საპარიკმახეროში“).

შედარების შედეგად მიღებული ცვლილებები შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს: პერსონაჟები (პიონერის სახე; საბჭოთა მოქალაქეები და ღირებულებები; მტრის ხატი.) და სიუჟეტი (საბჭოთა ცხოვრება; დამოკიდებულება წარსულთან და რელიგიასთან; საერთაშორისო ურთიერთობები).

მოცემული სტატიის ფარგლებში მხოლოდ პირველს – პერსონაჟებთან დაკავშირებულ ცვლილებებს: პიონერის სახეს, საბჭოთა მოქალაქეებსა და მტრის ხატს განვიხილავთ.

პიონერის სახე

რედაქტირების შედეგად პირველ რიგში შეიცვალა მთავარი გმირის – ვოლკა კოსტილკოვის სახე – თუკი 1938 წლის გამოცემაში მას მეტი ბავშვურობა და სიცელქე მიენერებოდა, რედაქტირებულ ვარიანტში ის უფრო სწორხაზოვანი და სერიოზულია, აზროვნებს და მოქმედებს საბჭოთა ღირებულებების მიხედვით. ბუნებრივია, ორიგინალშიც არის საბჭოთა მოქალაქისთვის დამახასიათებელი ზოგადი ფრაზები, მაგალითად თანასწორობასა და სიმდიდრესთან დაკავშირებით, მაგრამ 1955 წლის რედაქციაში ეს ყველაფერი უკიდურესობამდეა მიყვანილი.

პირველი, თვალშისაცემი განსხვავება არის ვოლკას დამოკიდებულება კარნახისადმი. თავდაპირველ ტექსტში, როდესაც ხოტაბიჩი გამოცდაზე დახმარებასა და კარნახს სთავაზობს, ვოლკას ძალიანაც უხარია და ამბობს – შესანიშნავია. ამის ნაცვლად რედაქტირებულ გამოცემაში ვკითხულობთ: „Спасибо, только никаких подсказок мне не надо. Мы – пионеры – принципиально против подсказок. Мы против них организовано боремся“¹ (Лагин 1955: 18-19).

მეორე განსხვავება – ასახულია პიონერისთვის „სწორი“ თავგადასავლები. თუკი ვოლკა პირველ შემთხვევაში წარმოიდგენს, თითქოს ამერიკაშია – პრერიებში, სადაც ნებისმიერ წუთს შეიძლება ინდიელები დაესხან თავს და ახადონ სკალპი, 1955 წლის გამოცემაში ვოლკა ციმბირშია, სადაც ბუნებასთან სასტიკი ბრძოლის პირობებში „საბჭოთა ინდუსტრიის გიგანტს“ აშენებს და მის ბრიგადას კოსტილკოვის საჩვენებელ ბრიგადას უწოდებენ. აქ შეიძლება ითქვას რომ საქმე გვაქვს საზოგადოებისთვის (ამ შემთხვევაში ბავშვებისთვის) მისაბაძი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესთან, რომლის თვისებები და მახასიათებლები კონკრეტული კულტურისა და საზოგადოებისთვის ღირებული და სანიმუშოა. აღწერილი პროცესი გ. ჰოფსტედეს კულტურული განსხვავებების აღმნიშვნელი ცნებებიდან ერთ-ერთს: გმირებს მოგვაგონებს (Hofstede 2010: 8). განხილული მაგალითებიდან გამომდინარე აშკარაა მისაბაძი და სანიმუშო პიონერის სახის, გმირის შექმნის მცდელობა.

იმავე მიზეზით საყურადღებოა შემდეგი სიტუაცია: ხოტაბიჩი შემთხვევით ჭურვს იპოვის, თუმცა ვოლკა წაიკითხავს წარწერას ჭურვზე „Made in USA“, რითაც სიკვდილს გადაურჩებიან. ამის შემდეგ, თუკი ორიგინალში ვოლკა მეგობარს (ყენიას) უბრალოდ უხსნის, რომ ეს ჭურვი იყო, რედაქტირებულ ვარიანტში ამბობს – „Мина, а не бомба, – поправил его Волька. – Это понимать надо!“² (Лагин 1955: 258).

1 „გმადლობთ, მაგრამ არანაირი კარნახი არ მინდა. ჩვენ – პიონერები – კარნახის პრინციპულად წინააღმდეგნი ვართ. ჩვენ ამის წინააღმდეგ ორგანიზებულად ვიბრძვით“. (თარგმანი თ. ნ.)

2 „ჭურვი, და არა ბომბი, – შეუსწორა ვოლკამ – ეს უნდა გესმოდეს!“ (თარგმანი თ. ნ.).

ზემოთგანხილულ მონაკვეთებში იდენტობის კუთხით რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხია. პირველი, „მტრის ხატი“: თუკი 1938 წელს ამერიკისადმი დამოკიდებულება არ იყო ასეთი „მკვეთრი“, 1955-ში ამერიკა ცალსახა მტერია. ნარწერაც კი – „გაკვეთებულია ამერიკაში“ მტრისა და საფრთხის ნიშანია. ბუნებრივია, ამის გამო პიონერი თამაშითაც კი ვერ წარმოიდგენს თავს ამერიკაში ინდიელებთან მეზობლად. მაგრამ აქ მეორე საყურადღებო საკითხია: ვოლკას წარმოსახული თამაში არ არის ჩანაცვლებული შესაბამისი „თამაშის სიტუაციით“, რაც სრულიად ბუნებრივი იქნებოდა ბავშვისთვის, არამედ ციმბირში „საბჭოთა ინდუსტრიის გიგანტის“ მშენებლობასა და მოწინავეთა შორის ყოფნის სურვილით. ანუ პირველ მაგალითში იდენტობის ერთდროულად ორი მარკერია შეცვლილი – პირველი, ამოღებულია „მტრის ხატი“ და მეორე, მოცემულია ახალი ღირებულებები: პიონერი „სულელურ“ თავგადასავლებს კი არ წარმოიდგენს, არამედ „ციმბირის დაპყრობასა“ და მუშაობაზე ოცნებობს. ამავედროულად უნდა შეეძლოს ჭურვისა და ბომბის განსხვავება.

გარკვეულ იდეოლოგიურ მახასიათებლებს, ბუნებრივია, ორიგინალშიც ვხვდებით, მაგალითად, როდესაც ხოტაბიჩი ვოლკას გაამდიდრებს და აღმოაჩენს რომ ბიჭისთვის ეს მიუღებელია, სთავაზობს ფული სხვაგვარად გამოიყენოს და მევახშე გახდეს. ეს ვოლკას საშინლად აღაშფოთებს, რადგან პიონერის მევახშეობა წარმოუდგენელია, თანაც საბჭოთა კავშირში დიდი ხანია აღარ არიან მევახშეები.

ამ მოკლე აღშფოთების ნაცვლად რედაქტირებულ გამოცემაში ვკითხულობთ: „Советский человек – и вдруг ростовщик! Да и кто к нему пошёл бы, даже если бы где-нибудь вдруг завёлся такой кровосос? Если нашему человеку требуются деньги, он может обратиться в кассу взаимопомощи или занять у товарища. А ростовщик – это ведь кровосос, паразит, мерзкий эксплуататор, вот кто! А эксплуататоров в нашей стране нет и никогда не будет. Баста! Попили нашей крови при капитализме!“¹ (Лагин 1955: 134).

როგორც მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, 1955 წლის ვარიანტში მასშტაბები გაზრდილია, საქმე ეხება ზოგადად საბჭოთა ადამიანის სახეს და არამხოლოდ პიონერს ანუ აზროვნება (და შესაბამისად – ზეგავლენა) ხდება უფრო დიდი ერთეულებით, რომელსაც ასევე მოჰყვება ემოციურად საკმაოდ დატვირთული პასაჟი „საძაგელ მევახშეებზე“. ამის მიზეზად ზემოქმედების გაძლიერების სურვილი შეიძლება ჩაითვალოს. ბუნებრი-

1 „საბჭოთა ადამიანი – და უცებ მევახშე! და ვინ წავიდოდა მასთან, გინდაც უეცრად გაჩენილიყო ასეთი სისხლისმწოველი? თუკი ჩვენს ადამიანს ფული სჭირდება, მას შეუძლია მიმართოს ურთიერთდახმარების სალაროს ან ამხანაგს ესესხოს. მევახშე კი – სისხლისმწოველი, პარაზიტი, საძაგელი ექსპლუატატორია, აი ვინ არის! ექსპლუატატორები კი ჩვენს ქვეყანაში არ არიან და არც არასდროს იქნებიან. ბასტა! დალიეს ჩვენი სისხლი კაპიტალიზმისას!“ (თარგმანი თ.წ.).

ვია, ბავშვის იდენტობის ჩამოყალიბების პროცესზე ზემოქმედებისას ემოციურ ფონს დამატებითი მნიშვნელობა ენიჭება – ცალსახად და მკაფიოდ კარგის და ცუდის გაყოფა, თითოეულის შესაბამისი ემოციური მახასიათებლით უზრუნველყოფა ხელს უწყობს მათ შორის გარკვეული ურთიერთკავშირის დამყარებას. ზემოთგანხილულ ციტატაში ამ მხრივ რამდენიმე მნიშვნელოვანი აქცენტი დასმული:

- რა საშინელებაა მევახშე და ზოგადად მევახშეობა.
- საბჭოთა მოქალაქე არათუ თვითონ არ იქნება მევახშე, მასთან შეხებაც არ შეიძლება ჰქონდეს.
- საბჭოთა მოქალაქეები თვითონვე ეხმარებიან ერთმანეთს გასაჭირის დროს.
- კაპიტალიზმის დროს არსებობდნენ მევახშეები (კიდევ ერთხელ კაპიტალიზმის სიავის ხაზგასმა)
- მევახშეებს უკვე ერთხელ (კაპიტალიზმისას) გაუნამებიათ ხალხი. (სამაგიეროდ საბჭოთა კავშირმა მოაშორა ხალხს ეს მნამებლები).

აღსანიშნავია, რომ ეს მონაკვეთი ვრცელი დიალოგის ნაწილია, რომელიც ზოგადად საბჭოთა ღირებულებებს ეხება.

პიონერის სახეზე საუბრისას აუცილებელია აღვნიშნოთ ვოლკას კლასელი გოგა – პერსონაჟი, რომელიც რედაქტირების შემდეგ არის ჩამატებული. გოგა პიონერის უარყოფით სახეს აყალიბებს: მაბეზლარა, მატყუარა და მშიშარა. დედა კი საშინლად ანებივრებს, საკუთარ თავს ყველაფერზე უარს ეუბნება; თუ საჭიროა, ურთიერთდახმარების საღაროდანაც კი გამოიტანს ფულს გოგასთვის საოცარი საჩუქრის საყიდლად. შექმნილია პიონერისთვის მიუღებელი თვისებებისა და მდგომარეობის ნიმუში – კლასელების ანუ საკუთარი კოლექტივის მოწინააღმდეგე, მატყუარა, მაბეზლარა და ამავედროულად პრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფი – სახლში ყველა სურვილს უსრულებენ. ბუნებრივია, ბიჭი სამაგალითოდ ისჯება ხოტაბიჩის ხელით: გოგას მოუწდება ვოლკაზე ტყუილის თქმა (თუ როგორ სამარცხვინოდ ჩაიჭრა გამოცდაზე ვოლკა და როგორ გამოლანძღა მასწავლებელმა), თუმცა ამის ნაცვლად დაიწყებს ყეფას. აღსანიშნავია, რომ თვითონ გოგასთვის, თუკი გამოცდებს ჩააბარებდა, ლეკვი უნდა ეჩუქებინათ (ანუ ასაჩუქრებდნენ იმისთვის, რაც პიონერს ისედაც მოეთხოვებოდა). შესაბამისად, სასჯელი საჩუქრის საპირწონე აღმოჩნდა. შემდეგში ყოველთვის, როდესაც ვინმეზე რაიმე ცუდის თქმას დააპირებდა ბიჭი, საშინელ ყეფას იწყებდა. ამის გამო გოგას სახლიდან აღარ უშვებდნენ, მეზობლებს კი მუდმივად ძაღლის ყეფა ესმოდათ.

საყურადღებოა, რომ გოგას ამბის თხრობისას შემოყვანილია ვოლკას ამბავი, რომელშიც ვოლკაც სთხოვს ხოტაბიჩს ლეკვი აჩუქოს, რასაც

ჯინი დიდი სიხარულით უსრულებს. ამ დროს შემთხვევით შემოვა დედა და დაინტერესდება, თუ ვისი ლეკვი მიიყვანა შვილმა სახლში. საუბრის გართულების გამო, ხოტაბიჩი ძალს გააქრობს. ამ მონაკვეთში ერთი საინტერესო დეტალია – დედა ეკითხება ვოლკას, მათ სადარბაზოში ვისთან შეიძლება მისუღიყო ექიმი და ვოლკაც ვარაუდობს, რომ ალბათ გოგასთან. ამას მოჰყვება შემდეგი საუბარი:

„– Разве он заболел?

– Кажется.

– Кажется?.. Разве он не твой товарищ?

– Ну да, товарищ!..

– Мне стыдно за тебя, юный пионер Костыльков! – сказала Светлана Александровна, повернулась и вышла из комнаты с каменным лицом¹ (Лагин 1955: 159).

დედასთან საუბრის შემდეგ ვოლკა სასწრაფოდ გადაწყვეტს გოგას მონახულებას.

ამ მონაკვეთში რამდენიმე საინტერესო შეპირისპირებაა:

- დედების დამოკიდებულება – გოგას, რომელსაც არ ეკუთვნის, ყველანაირად ანებივრებენ და ლეკვის ჩუქებას პირდებიან. ვოლკას კი მკაცრად ზრდიან და ძალღის ყოლის უფლებასაც არ აძლევენ, არათუ ასაჩუქრებენ.

- ვოლკას დედის შეხედულება პიონერებსა და მეგობრობაზე – დედა ბრაზდება იმაზე, რომ მისი შვილი პიონერისთვის შეუფერებლად იქცევა (ამხანაგის ჯანმრთელობის ამბავი ზუსტად არ იცის, მით უმეტეს რომ ერთ სადარბაზოში ცხოვრობენ.) პიონერი კი ნამდვილი მეგობარი უნდა იყოს. სწორედ ამის გამო არცხვენს დედა ვოლკას.

- ვოლკას სახე – გოგა და ვოლკა მეგობრები არ არიან, თუმცა ბიჭი დედის კითხვაზე მაინც პასუხობს: კი, ჩემი ამხანაგია. თავსაც არ იმართლებს და არ ამხელს, რომ გოგასთან ცუდი ურთიერთობა აქვს; მიუხედავად იმისა რომ ეს იქნებოდა უბრალოდ სიმართლე და არა დაბეზლება (შედარება გოგასთან, რომელიც მატყუარა და მაბეზლარაა). პირიქით, დედასთან ლაპარაკის შემდეგ გადაწყვეტს ექიმის წასვლისთანავე მონახულოს გოგა, ანუ გამოასწოროს შეცდომა.

საფიქრალია, რომ გოგას პერსონაჟის შემოყვანა სწორედ იმიტომ გახდა საჭირო, რომ ერთის მხრივ მკაფიოდ ეჩვენებინათ, თუ როგორი

1 „– განა ის ავად გახდა?

– მგონი.

– მგონი?.. განა ის შენი ამხანაგი არ არის?

– ნუ კი, ამხანაგია!..

– მე მრცხვენია შენს გამო, ნორჩო პიონერო კოსტილკოვო! – თქვა სვეტლანა ალექსანდროვნამ, შებრუნდა და გაქვავებული სახით გავიდა ოთახიდან“. (თარგმანი თ. ნ.).

არ უნდა იყოს პიონერი, ხოლო მეორეს მხრივ, უფრო გამოეკვეთათ და ჩამოეყალიბებინათ ვოლკას, როგორც სანიმუშო პიონერის სახე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, 1938 წლისა და 1955 წლის რედაქციებში მოცემულ პიონერთა სახეებში მნიშვნელოვანი სხვაობებია. ორიგინალისგან განსხვავებით, ნაწარმოების რედაქტირებულ ვარიანტში პიონერი უფრო სწორხაზოვანი, ნაკლებად ბავშვურია; მოცემულია გაცილებით მეტი მახასიათებელი (მათ შორის პოლიტიკური). ასევე ჩამოყალიბებულია პიონერის უარყოფითი სახეც. ორიგინალში კი პიონერი პირველ რიგში ბავშვია, თავისი დადებით და უარყოფითი მხარეებით. ცხადია, ამ შემთხვევაშიც ბიჭების მსჯელობაში ასახულია საბჭოთა ღირებულებები, მაგრამ მათი სახეები ცოცხალია, ნაკლებია სტერეოტიპები და იდეოლოგიური აზროვნება.

საბჭოთა მოქალაქეები და მტრის ხატი

რედაქტირება მხოლოდ პერსონაჟების ხასიათების ცვლილებას არ მოიაზრებდა. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გმირები, რომლებიც ნაწარმოებიდან „გააქრეს“. სავარაუდოდ, ამ პერსონაჟებს შეეძლოთ ჩრდილი მიეყენებინათ საბჭოთა მოქალაქის სახისთვის. პირველ გამოცემაში ვოლკას ჰყავდა ორი უახლოესი მეგობარი – ჟენია და სერიოჟა. ისინი ვოლკასთან ერთად მონაწილეობდნენ ყველა თავგადასავალში. რედაქტირების შემდეგ კი სერიოჟა ნაწარმოებიდან გაქრა. აღსანიშნავია, რომ ჟენია და სერიოჟა საკმაოდ მსგავსი ხასიათებია, ამიტომაც მისი გაქრობა ძალიან საგრძნობი არ აღმოჩნდა. გაქრობის მიზეზი კი, შესაძლოა, სულ სხვა პერსონაჟი – ალექსანდრ ნიკიტინი კრუჟკინი (სერიოჟას მამა) იყოს. ალექსანდრ ნიკიტინი მეცხვარეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელია. ის საბჭოთა მოქალაქისთვის შეუფერებელ საქციელს სჩადის – იტყუება და უპატრონო ცხვრების ფარას ითვისებს (თუმცა ინსტიტუტში მიჰყავს). ეს სწორედ ის სამი თავია, რომლებიც მთლიანად ამოღებულია რედაქტირებული ვარიანტიდან და იდენტობაზე ზემოქმედების კუთხით მნიშვნელოვან საკითხებს შეეხება.

ყველაფერი იმით იწყება რომ საპარიკმახეროში ვოლკას დასცინებენ და განრისხებული ხოტაბიჩი ყველას ცხვრებად გადააქცევს (მათ შორის სერიოჟასაც). ცხვრები გაიფანტებიან ქუჩაში, გააჩერებენ მოძრაობას, შექმნიან საშინელ აურზაურს. მილიციელი ცდილობს გაარკვიოს უეცრად საიდან გაჩნდა ცხვრის ფარა. სწორედ ამ უცხო ჯიშის ცხვრებით აღფრთოვანდება ალექსანდრ ნიკიტინი. ჯერ ეკითხება მილიციელს, თუ ვის ეკუთვნის ეს ფარა. როდესაც პასუხს ვერ მიიღებს, ალექსანდრ ნიკიტინი საბჭოთა მოქალაქისთვის მიუღებელ საქციელს სჩადის: ატყუებს

მილიციელს და ფარა მეცხვარეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მიჰყავს. თანაც გადაწყვეტილი აქვს ამ „აღმოჩენის“ შესახებ სტატია დაწეროს ჟურნალში “პროგრესული მეცხვარეობა”. იმის მიუხედავად, რომ ხაზგასმულია ალექსანდრე ნიკიტჩის შეცდომა – დაუღალავ და კეთილსინდისიერ მუშაობას, რომლითაც სამეცნიერო დიდება მიიღწევა, მან იოლი გზა არჩია – ამგვარი სიუჟეტი მაინც მიუღებელი აღმოჩნდა შემდგომი გამოცემისთვის: თავისთავად საბჭოთა მოქალაქეების ცხვრებად გადაქცევა, ჩვენი აზრით, უკვე საკმარისია ტექსტის ამ ნაწილის ნაწარმოებიდან გასაქრობად, ამას კიდევ ემატება სამეცნიერო არაკეთილსინდისიერება და სხვისი ქონების მითვისება. საყურადღებოა, რომ ალექსანდრე ნიკიტჩი ნაწარმოებში კიდევ რამდენჯერმეა ნახსენები და ყველა შემთხვევაში დადებითად იქცევა. შესაბამისად, ის საკმაოდ წინააღმდეგობრივი პერსონაჟი გამოდის, თანაც დადებითი პერსონაჟის – სერიოჟას მამა. როგორც ჩანს, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად წინააღმდეგობრივი პერსონაჟი, რომელიც ცალსახად ვერ ჯდება კარგი-ცუდის კატეგორიაში, საერთოდ ამოიღეს ნაწარმოებიდან. მასთან ერთად გაქრა სერიოჟაც და ის სამი თავიც, რომელშიც მოქმედება ვითარდება.

კიდევ ერთი განსაკუთრებული ცვლილება ამერიკელ ჰარი ვანდენდალესსა და მტრის ხატის ჩამოყალიბებას ეხება. ვანდენდალესი ნაწარმოების მხოლოდ რამდენიმე თავში ფიგურირებს და ცალსახად სტერეოტიპული სახეა, თუმცა ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერსონაჟს წარმოადგენს. ვანდენდალესის ხასიათი ეფუძნება და სრულად იმეორებს ორიგინალში (1938 წ.) არსებულ სხვა პერსონაჟს – ფეოკტისტ კუზმირ ხაპუგინს. ამ შემთხვევაში იდენტობაზე ზეგავლენის კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებაა – ორიგინალის ტექსტში არსებობს რუსის, საბჭოთა მოქალაქის ნეგატიური სახე, რომელიც იმ პერიოდის უარყოფით თვისებებს აერთიანებს და ასახავს, თუ როგორი არ უნდა იყოს საბჭოთა მოქალაქე. ხაპუგინი ყოფილი კერძო მენარმეა, შემდეგ კუსტარული არტელის – „წითელი ბუმბული“ მეურნეობის გამგის თანაშემწე. იმ მაღაზიების გამყიდველები, რომლებიც იშვიათი ნივთებით ვაჭრობდნენ კარგად იცნობენ ხაპუგინს, რადგან ის ყოველდღე სამსახურის შემდეგ დადის მაღაზიებში და თუ გამოუცდელი გამყიდველი შეხვდება, ცდილობს რაიმე გაცილებით უფრო დაბალ ფასად იყიდოს.

ჰარი ვანდენდალესი კი ნიუ-იორკიდანაა ჩამოსული ტურისტის-საქმოსნის სტატუსით. მისი ტექსტი გამდიდრებულია კაპიტალისტისთვის „დამახასიათებელი“ და საბჭოთა ადამიანისთვის სრულიად მიუღებელი მოსაზრებებით. ასევე შეცვლილია საუბრის მანერა – ხაპუგინი, ბუნებრივია რუსულად გამართულად საუბრობს, ხოლო ვანდენდალესი უცხოელისთვის დამახასიათებელი შეცდომებითა და აქცენტით. თავისუფალ დროს

ისიც საკომისიო მაღაზიებში დადის იმ იმედით, რომ რაიმეს ძალიან იაფად შეიძენს, ოღონდ ხაპუგინისგან განსხვავებით, შემდეგ ამერიკაში ძვირად გაყიდის. თუკი გავითვალისწინებთ, რომ 1953-1959 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. ფ. დალესი იყო, მისი ძმა ა. ო. დალესი კი – ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი (1953-1961), რთულია არ დაინახო მსგავსება პერსონაჟის გვარსა და რეალურ პიროვნებებს შორის. შესაბამისად, ვანდენდალესის სახე და ხასიათი გაცილებით მეტი დატვირთვის მქონეა, ვიდრე უბრალოდ მტრის ხატის ფორმირების მიზნით შექმნილი მხატვრული პერსონაჟი.

ვანდენდალესის ხოტაბიჩთან შეხვედრის აღწერა კი ზუსტად იმეორებს ორიგინალის ტექსტს. თანამიმდევრულად რომ მივყვეთ ნაწარმოებს, პირველად ხაპუგინი/ვანდენდალესი საკომისიო მაღაზიაში შეხვდება ხოტაბიჩსა და ბიჭებს. ჯინი ხაპუგინის/ ვანდენდალესის ხელში ბეჭედს დაინახავს, რომელსაც ის სულეიმან იბნ დაუდის ბეჭდად მიიჩნევს. ეს ნიშნავს რომ ბეჭდის მფლობელის მსახური უნდა გახდეს. ორივე შემთხვევაში ხაპუგინი/ვანდენდალესი მოხუცს ქურდად ჩათვლის და მის მოშორებას ცდილობს, რისთვისაც ხოტაბიჩის ცემასაც არ ერიდება, ოღონდ როცა ვერავინ ხედავს. ხაპუგინთან ერთ საინტერესო და განსხვავებულ მონაკვეთსაც ვხვდებით: ხოტაბიჩი ხაპუგინს როგორც ბატონს, ისე მიმართავს (ეუბნება რომ მისი მონაა). პასუხად, ხაპუგინს სახე წაეშლება და ამბობს რომ უკვე მეორე თვეა რაც პროფკავშირის წევრია (როგორც ჩანს, იძულებულია), ხოლო ორი წელია რაც არ სარგებლობს დაქირავებული მუშახელით. შემდეგ კი დაამატებს, რომ ოთხი საუცხოო მაღაზია ჰქონდა, რომლებიც ანი (!) უკვე აღარასდროს ექნება. ანუ ხაპუგინი უკმაყოფილოა და თავს უბედურად გრძნობს საბჭოთა წყობილების მიერ შემოტანილი ცვლილებების გამო, რომ შეეძლოს ისევ კერძო მენარმე იქნებოდა. ამ შემთხვევაში გასაგებია მისი ჩანაცვლება ამერიკელი პერსონაჟით, რომლის კაპიტალისტური მისწრაფებები მარტივი ასახსნელიცაა და მტრის ხატის შესაფერისიც.

ხაპუგინიცა და ვანდენდალესიც საბჭოთა კავშირისთვის მიუღებელ ადამიანთა სახეებს ქმნიან, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა მოქალაქის მოვალეობაა. ამას აკეთებენ კიდეც ვოლკა და ჟენია, (ორიგინალში – სეროიჟაც), რაც ზეგავლენის კიდეც ერთი ნიშანია – საბჭოთა მოქალაქე უკვე პიონერობიდანვე უნდა იბრძოდეს ხაპუგინისა და ვანდენდალესის მსგავსი პიროვნებების წინააღმდეგ. მუდმივი სიფხიზლე და მტრის ძიება (საკუთარ გარემოცვაშიც), ასევე მასთან საბრძოლველად მზადყოფნა – საბჭოთა მოქალაქის იდენტობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა. რაც შეეხება ზეგავლენის მეთოდებს, მიუხედავად იმისა, რომ ხაპუგინიც და ვანდენდალესიც უარყოფითი პერსონაჟებია, ისინი კონკრეტული პერიოდისთვის დამახასიათებელ ნე-

გატიურ სახეებს წარმოადგენენ (ხაპუგინი რეპრესიებისა და „დიდი ტერორის“ პერიოდს მიეკუთვნება, ხოლო ვანდენდალესი „ცივი ომისა“ და კონკრეტული პიროვნებების გამომხატველი პერსონაჟია). შესაბამისად, განსხვავებულია როგორც მათი, ისე მათი ცოლების აღწერაც.

ხაპუგინის ცოლი მსუქანი, ხოლო ვანდენდალესის ცოლი გამხდარი მაღალი ქალია, ბოროტად და დამცინავად იცინის. როდესაც ხაპუგინი/ვანდენდალესი კმაყოფილი უყვება ცოლს თუ როგორ სცემდა და იშორებდა მოხუცს მთელი გზის განმავლობაში ხაპუგინის ცოლი გაოცებით უყურებს, ხოლო ვანდენდალესის – ზიზლით, შემდეგ კი თვალს აშორებს, რადგან ვერ იტანს ქმრის თვითკმაყოფილ გამომეტყველებას. ამერიკელებზე საუბრისას შექმნილია ყოველმხრივ უარყოფითი და სტერეოტიპული სახეები. ასახულია, რომ ისინი ოჯახში, ერთმანეთის მიმართაც კი დამცინავები არიან და მხოლოდ გამოყენების კუთხით აღიქვამენ ყველას და ყველაფერს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჰარი ვანდენდალესი საკმაოდ სტერეოტიპული ხასიათია და მისი საშუალებით გამოხატულია კაპიტალისტისთვის „დამახასიათებელი“ მოსაზრებები. მაგალითად, როცა ვანდენდალესი ხოტაბიჩს, ვოლკასა და ჟენიას შვილების ამბავს უყვება, ამბობს რომ ბიჭები სულ ბანდიტსა და განგსტერს თამაშობენ და რომ გაიზრდებიან, ცნობილი ბანკირები უნდა გახდნენო. აქ ორი მიმართულებით ხდება ზეგავლენა. პირველი, მკაფიო განსხვავება პიონერის სახესთან: საბჭოთა ბავშვები ციმბირის დაპყრობაზე, ინდუსტრიის გიგანტის მშენებლობასა და კოლექტივისთვის სარგებლის მოტანაზე ოცნებობენ; ამერიკელი ბავშვები კი – სხვებისთვის ფულის წართმევაზე. მეორე, ფარული მეთოდი: ბიჭები ახლა ბანდიტსა და განგსტერს თამაშობენ, შემდეგ კი ბანკირები გახდებიან – ასეთი თანამიმდევრობა შესაბამის კონტექსტში ხელს უწყობს ასოციაციის გაჩენას, რომ ბანკირიც ისეთივე ცუდია და ისევე ძარცვავს ხალხს, როგორც განგსტერი. ამავეს ემსახურება ჟენიას აღშფოთებაც ამერიკელის კითხვაზე, მასაც თუ ენდომებოდა ბანკირობა. მაღლობა ღმერთს, ჩვენთან ამერიკა არ არისო! – ამბობს ბიჭი (Лагин 1955:175). კამათისას შეეხებიან შავკანიანების საკითხსაც, რაც ძალიან გააღიზიანებს ვანდენდალესს. მისი სახე ბოლომდე გაიხსნება, როდესაც ვითომ ჯადოსნურ ბეჭედს ჩაიგდებს ხელში. ხაზგასმულია, რომ „მეგობრული“ ამერიკელი ცივი და ამპარტავანი გახდა, თუმცა იქამდე ჟენიას საჩუქარსაც პირდებოდა. ცხადია, ბიჭი ამით არ მოტყუვდა (შეხსენება მკითხველისთვის, რომ არ დაიჯეროს, თითქოს უცხოელი მართლა მისი მეგობარია, ეს შეიძლება მხოლოდ ნილაბი იყოს). ამერიკელი პირველ რიგში დოლარებს მოითხოვს. მოხუცმა ჯინმა არ იცის რა არის დოლარი, რაზეც ვანდენდალესი ზიზლით ამბობს, რომ ყველა

კულტურული ადამიანი ვალდებულია იცოდეს თუ როგორ გამოიყურება ამერიკული დოლარი – დოლარი ხომ ამერიკის, შესაბამისად მთელი მსოფლიოს ყველაზე კულტურული საგანია. ვანდენდალესი ჩამოთვლის სურვილებს. ბოლოს კი მთავარ სათქმელს ამბობს: „Я имею желаний, чтобы этот нахальный старик и непокорные и дерзкие советские мальчишки были мои рап, чтобы они чистили ботинки моим деткам, чтобы были мои слюга, всегда, до конца жизни!.. (...) Все фабрики, все шахты, все завод, все банки, все железный дорога, аутомобиль и самолёт, вся земля и все леса в Советский Союз принадлежал мне, моей фирме «Гарри Вандендаллес и сыновья» (...) Вся Россия, весь мир должен принадлежать американскому деловой человек!..“¹ (Лагин 1955: 182). ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვანდენდალესის სავარაუდო პროტოტიპები – ა. შ. შ. – ს სახელმწიფო მდივანი ჯ.ფ. დალესი და ა.შ.შ.-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი – ა. ო. დალესი იყვნენ, მაშინ ეს სიტყვები სულ სხვა მნიშვნელობას იძენს – რუსეთისა (!) და მთელი მსოფლიოს დაპყრობა და ბატონობა მთლიანად ამერიკის სახელმწიფოს მიზანად ისახება. საყურადღებოა, რომ წერია არა საბჭოთა კავშირი, არამედ რუსეთი. მსგავსი აღნიშვნა ნაწარმოებში სხვა დროსაც გვხვდება (ვოლკას მეგობარი, ჟენია შემთხვევით ინდოეთში აღოჩნდება. აქაც ჯერ რუსეთი იქნება გამოკვეთილი და მხოლოდ შემდეგ საბჭოთა კავშირი). ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ რუსები წარმოადგენდნენ საბჭოთა კავშირის სატიტულო ნაციას და ყველა სხვა ეროვნული თუ ეთნიკური ჯგუფისგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირი და რუსეთი მათთვის სინონიმური, ურთიერთშემცვლელი ცნებები იყო. შესაბამისად, რუსების, როგორც საბჭოთა მოქალაქეების თვითიდენტიფიკაცია განსხვავდებოდა საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების სხვა მოქალაქეების თვითიდენტიფიკაციისგან. საკითხის ამ კუთხით განხილვა მკაფიოდ აყალიბებს როგორც მტრის ხატს, ისე „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფის ხედვას: „ჩვენ“ ჯგუფი, რომელიც შედგება რუსებისა და საბჭოთა კავშირის სხვა მოქალაქეებისგან, იძულებულნი და ვალდებულნი ვართ დავიცვათ ჩვენი თავი და დავეხმაროთ მეგობარ „სხვა“ ჯგუფებს (ინდოეთი, იტალია). ზემოთქმულიდან გამომდინარე, რადგან ამერიკა რუსეთს/საბჭოთა კავშირს ემუქრება, რუსეთის/საბჭოთა კავშირის მოვალეობაა შეებრძოლოს, არა მარტო საკუთარი, არამედ მსოფლიოს „გულისთვის“.

¹ „მე მაქვს სურვილი, რომ ეს თავხედი მოხუცი და ურჩი და თავხედი საბჭოთა ბიჭები ჩემი მონები იყვნენ, რომ ჩემს შვილებს უწმენდნენ ფეხსაცმელს, იყვნენ ჩემი მოსამსახურეები ყოველთვის, სიცოცხლის ბოლომდე! (...) ყველა ფაბრიკა, ყველა მალარო, ყველა ქარხანა, ყველა ბანკი, ყველა რკინიგზა, აუტომობილი და თვითმფრინავი, საბჭოთა კავშირის მთელი მიწა და ყველა ტყე მეკუთვნოდეს მე, ჩემს ფირმას „ჰარი ვანდენდალესი და შვილები“ (...) მთელი რუსეთი, მთელი მსოფლიო უნდა ეკუთვნოდეს ამერიკელ საქმიან ადამიანს!..“.

ამ თავის ბოლოს ვანდენდალესსაც იგივე ბედი ეწევა, რაც ხაპუგინს – მინაზე ფორთხვა-ტრიალით გაგორდება სახლში, მაგრამ არა საბჭოთა კავშირში, არამედ ამერიკაში. ამ გზის აღწერას კიდევ მთელი გვერდი ეთმობა, ვანდენდალესი კი ხან ნაჭრებით გავსებულ ტომარასაა შედარებული, ხან ხის მორს, ხანაც ტურას. მეორე დღეს მისის ვანდენდალესი დაშიფრულ ტელეგრამას მიიღებს, რომელშიც მისტერ ვანდენდალესის გაუგებარი გზით ამერიკაში დაბრუნებას აცნობებენ და მასაც სასწრაფოდ იძახებენ.

ორიგინალის მიხედვით, აქ უნდა დამთავრებულიყო ვანდენდალესის ამბავიც, მაგრამ რედაქტირებულ გამოცემაში იტალიაში ამერიკელების ბატონობაზეა საუბარი. ამიტომ ვანდენდალესის პერსონაჟი, რომელიც ამერიკის იმპერიალისტურ მისწრაფებებს განასახიერებს, როგორც დიპლომატი ჩადის იტალიაში. საყურადღებოა, რომ ვანდენდალესს დაცვა ჰყავს, რადგან იტალიელებს არ უყვართ ამერიკელი დიპლომატები. მცველს კი განსაკუთრებით გამოცდილი ადამიანი, ჩეზარე სანტორეტი წარმოადგენს, რომელიც მუსოლინის დროს საიდუმლო პოლიციაში მუშაობდა.

წაწმენის ბოლოს ვანდენდალესს განსაკუთრებული ბედი ეწევა – ხოტაბიჩი მას ძალად გადააქცევს. მიუხედავად ამისა, უოლ-სტრიტის უმდიდრესი ადამიანები მაინც სცემენ პატივს და ნარჩევ ძვლებს უგზავნიან. სანაცვლოდ, ძალად გადაქცეული ვანდენდალესი კვირაში ერთხელ, ოცი წუთის განმავლობაში ყფის რადიო გადაცემაში „ამერიკის ხმა“. ეს ბოლო შტრიხი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას. ერთის მხრივ ნაჩვენებია, თუ ვინ გამოდის „ამერიკის ხმაში“, ანუ ამ გადაცემის მოსმენა იგივეა, რომ ძალის ყფას უსმინო. მეორეს მხრივ, შეიძლება ამერიკის შიდა პოლიტიკურ სიტუაციაზეც დავინახოთ მინიშნება – უოლ-სტრიტის მდიდარი ხალხი ფულს (ძვლებს) გზავნის და ამით განსაზღვრავს სათქმელს. ბუნებრივია, ეს მხოლოდ ტექსტიდან გამომდინარე ვარაუდია.

შეჯამების სახით, რედაქტირებულ გამოცემაში მკვეთრად და მკაფიოდ არის მოცემული როგორც მეგობარი „სხვა ჯგუფის“, ისე მტრის ხატი. ჭარბობს სტერეოტიპული სახეები, ნეგატიური დამოკიდებულების სწორხაზოვანი და პირდაპირი გამოხატვა. ასევე, რედაქტირებული ტექსტი მიზანმიმართულად საბჭოთა იდენტობის ფორმირებაზეა ორიენტირებული, მოცემულია მისაბაძი სახეები – „გმირები“, დამატებულია პერსონაჟები და დეტალურადაა გადმოცემული ღირებულებები.

დასკვნა

შედარების შედეგად ზემოქმედებისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შემდეგი საკითხები: პიონერის სახე; საბჭოთა მოქალაქეები და ღირებულებები; მტრის ხატი. ეს სამი საკითხი ვრცლად არის წარმოდგენილი, განსაკუთრებით რედაქტირებულ ვარიანტში. პიონერის სახე, რომელიც ორიგინალში საკმაოდ მკაფიოდ არის წარმორჩენილი, თუმცა შენარჩუნებული აქვს გარკვეული ბავშვურობა და ეშმაკობანი. რედაქტირებულ ტექსტში კი პიონერის ახალი სახეა მოცემული, ბავშვისთვის შეუსაბამოდ სწორხაზოვანი და გაცილებით იდეოლოგიზებული. რედაქტირებულ ტექსტში ამავდროულად დამატებულია უარყოფითი პიონერიც – გოგა – მახეზლარა, ჭორიკანა, განებივრებული ბიჭი, თუმცა მისი მხრიდანაც კი ზოგადი საბჭოთა ღირებულებები დაცული და პატივცემულია.

იდენტობაზე ზეგავლენის კუთხით ასევე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია „საბჭოთა მოქალაქეები და ღირებულებები“. რედაქტირებულ ტექსტში საბჭოთა ცხოვრება გაცილებით უფრო დანვრილებითაა აღწერილი, ამოღებულია კონკრეტული პერსონაჟები (ალექსანდრ ნიკიტინი კრუჟკინი) და ყველა უარყოფითი მონაკვეთი.

წარმოებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ერთი უარყოფითი პერსონაჟის – ხაპუგინის, მეორე უარყოფით პერსონაჟად – ვანდენდალესად გადაქცევას. თუკი ხაპუგინი საბჭოთა მოქალაქის ნეგატიურ სახეს წარმოადგენს, რედაქტირებულ ვარიანტში საბჭოთა მოქალაქის მსგავსი უარყოფითი სახე აღარ მოიპოვება. ხაპუგინის თვისებები ამერიკელ ვანდენდალესს მიენერა, ამავდროულად ამერიკელის სრულიად სტირეოტიპული ნეგატიური სახე ჩამოყალიბდა. ხაპუგინის პერსონაჟისგან განსხვავებით, ვანდენდალესის შემთხვევაში უკვე მტრის ხატია ფორმირებული.

ჩვენი აზრით, სტატიამ შეასრულა დასახული მიზნები, ასახა საბჭოთა იდენტობის პოლიტიკა საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებთან მიმართებაში და კიდევ ერთხელ გამოკვეთა მსგავსი კვლევის მნიშვნელობა ზოგადად იდენტობის პოლიტიკის შესწავლის კუთხით.

დამონებანი:

Ghviniasvili, Ana. *Nark'vevebi Kartuli Sabavshvo Lit'erat'uris Ist'oriidan*. Tbilisi: gamomtsemloba "nak'aduli", 1972 (ღვინიაშვილი, ანა. *ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან*. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1972).

Hofstede G. Hofstede Gert J. and Minkov M. *Cultures and organizations: software of the mind: intercultural cooperation and its importance for survival*. McGraw-Hill: 2010.

Smith Anthony D. *National Identity*. Penguin Books Ltd: 1991

Lagin L. *Starik Khottabych*. Detgiz – Gosudarstvennoe Izdatel'stvo Detskoy Literatury Ministerstva Prosveshcheniya RSFSR. Moskva: 1958 (Лагин Л. *Старик Хоттабыч*. Детгиз – Государственное Москва: издательство Детской Литературы Министерства Просвещения РСФСР, 1958.)

Lagin L. *Starik Khottabych*. (Red. 1938 g.) Detizdat. Moskva: 1940 [online] <http://ogrik2.ru/b/lazar-lagin/starik-hottabych-red-1938-g/1798> (data obrashcheniya 30.03.2021) (Лагин Л. СТАРИК ХОТТАБЫЧ (Ред. 1938 г.) Москва: Детиздат, 1940 [online] (дата обращения 30.03.2021) <http://ogrik2.ru/b/lazar-lagin/starik-hottabych-red-1938-g/1798>

Tamar Namgladze
(Georgia)

Soviet Identity Politics and Children's Literature (Based on L. Lagin's "Old Man Khottabych")

Summary

Key words: Soviet ideology; identity politics; children's literature.

Research of identity politics is an important topic. Meaning of a such research increases when identity politics is controlled by specific ideologies. Identity politics of Soviet Union was aimed on forming and shaping of a new type of person – Homo Sovieticus. The most important group for manipulations were children. Literature was one of the ways of such influence, therefore, the information given to a child was carefully controlled and defined by ideology. Studying the children's books of Soviet period may give us some valuable information about the methods and topics of influence used for forming and shaping the Soviet Identity. Comparing the different editions of the same book gives us the most interesting information. In this paper we are comparing two editions of the L. Lagin's "Old man Khottabych".

The goal of the research is to underline differences between the original (1938) and the edited version (1955) of the book, to highlight the topics and the methods of influence. We used narrative analysis as a method of research and structuralism as a framework. The importance of the study is defined by the essence of identity politics – forming and shaping identity is a crucial part of any society. As a result of the research we can define two major groups of differences – characters (types of pioneers; Soviet civilians; image of enemy) and plot (life in Soviet Union; attitude towards past and religion; international relationships). In this article we discuss only first group of differences – differences about characters.

The first principal contradiction between the first and edited versions of the book is diverse types of pioneers. Before editing (1938) of the book, the main character

– Volka (Vladimir) Kostilkov is an ordinary, naughty boy. After editing (1955) Volka’s character is no more childlike. He turns into serious Soviet boy, whose judgement solely depends on Soviet ideology. If in 1938 Volka’s character is ready to cheat on an exam, in 1955 he delivers a speech about Soviet pioneers, who never cheat on exams. Furthermore, they are systematically fighting against it. In the edited version of the book even dreams and fantasies are changed – they became ideologically appropriate. For example: in the original Volka is imagining adventures in prairies and Indians and battles. Contrary to it, in the edited version Volka is dreaming about building a “giant of Soviet industry” in Siberia, resisting terrible cold and hard conditions. Differences of this kind remind us of G.H. Hofstede’s term “Heroes” – models for behavior, who have characteristics valued in certain culture. (Hofstede 2010: 8) Thus, Volka might be considered as a “hero”, role model for soviet children, showing what real pioneer must be. To make “pioneer Volka” as a role model more explicit, there is a new character – Goga in the edited version of the book. Goga is a classmate and a rival of Volka, possessing traits, which are considered as negative for pioneer. We suggest that in 1955 by making such stereotyped (good/bad) contrast editors were creating “heroes” and a role model for soviet children and pupils, something that was not a goal for the author of an original story (at least not in such explicit way).

Second major difference between original (1938) and edited (1955) versions of the book involves disappeared and transformed characters. The original story contains two important characters – Seriozha (Volka’s friend) and Alexandr Nikitich Kruzshkin (father of Seriozha). Both characters disappear after editing. One of the reasons of such change might be inappropriate actions of Alexandr Nikitich. It starts when old man Khottabych turns some people into a rare breed of sheep. Turning soviet citizens into sheep is already enough to get censored, but as the story continues, it becomes more unsuitable for Soviet reality: Alexandr Nikitich, who happens to be a scientist and works in the Institute of sheep farming, lies to a policeman and claims that these sheep belong to the institute. Then he takes sheep to the institute, to “discover” this rare breed and become famous scientist. Obviously, actions of Alexandr Nikitich and his desire of “quick success” instead of hard work are inappropriate and belittle the name of Soviet scientist. However, as the story evolves, Alexandr Nikitich appears to be typical Soviet citizen. He turns into contradictive character, being “good” and “bad” at the same time. This might be the reason of his disappearance. The “uncertain” character Alexandr Nikitich Kruzshkin and as a result his son – Seriozha, both vanished from the story. Though disappearing was not the only way of changing characters, one more important character was edited – transformed from one into another: Feoktist Kuzmich Khapugin – Harry Wandendulles. Despite all the differences, it is still utterly surprising to have character like Khapugin even in the original story: before revolution Khapugin was a businessman, who had four stores. After revolution he lost his stores,

but continued using hired workers, until joining the labor union. Khapugin misses (!) his life before revolution and does not like (!) new, Soviet way of living. Obviously, editors could not leave such a negative model of a Soviet citizen. However, Khapugin as a character did not just disappear, his negative features were ideal as a basis for an “image of enemy”. Thus, he was transformed into American businessman Harry Wandendulles. Wandendulles is utterly stereotypical villain, whose interests in life are money and power. He wants to possess every factory, forest, airplane etc. in Soviet Union, furthermore, he wants to possess Soviet Union itself and whole world. There is an opinion, that Wandendulles has two prototypes – J.F. Dulles (United States Secretary of State 1953 –1959) and A. Dulles (Director of Central Intelligence 1953-1961). Considering that fact speech of Wandendulles about possessing the world gets another, hidden meaning.

To conclude, 1955’s edited version shows several specific methods of manipulation and influence, as well as certain topics. Comparing to 1938’s original story, edited version is far more ideologically “appropriate”, more detailed about soviet life and values.

We believe, that the paper reached its goals – highlighted the topics and the methods of influence and underlined differences between the 1938’s and 1955’s versions of the book. Therefore, we hope, that the importance of studying children’s literature as a source of Soviet identity politics and manipulations, becomes more evident.